დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა

შეფასების თარიღ(ებ)ი 20-22 დეკემბერი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი 26 იანვარი, 2022 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	**საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**235449813**

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**დიახ**
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**დიახ**
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**დიახ**
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	**არა**
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	**არა**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**მარტვილი**
იურიდიული მისამართი	**მარტვილი, სოფ. სალხინო**
ფაქტობრივი მისამართი	**მარტვილი, სოფ. სალხინო**
საფოსტო ინდექსი	**3100**
დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://salkhinosgimnazia.edupage.org/**
დაწესებულების ელ-ფოსტა	**ssgimnazia@gmail.com**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**599070142**
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**სტეფანე კალაიჯიშვილი**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**599517747**
ელ-ფოსტა	**Bishop.stefane@gmail.com**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 17 ნოემბრის MES 7 22 0001470105 და 2022 წლის 19 დეკემბრის MES 2 22 0001623975 ბრძანებები.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2022 წლის 20-22 დეკემბერი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	დავით ლიპარტელიანი
წევრი (სახელი, გვარი)	ნანა მონიავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☒
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☐	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☐	☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☐	☒
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☐	☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☐	☒
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	**2.1.ა** დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: ერთ მისამართზე არსებული ფართი (250კვ.მ)	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ვერ დადგინდა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების ზუსტი ფართობი. ასევე, ამავე დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებას, აღნიშნული ფართი გადაცემული აქვს 2026 წლის 22 ნოემბრამდე. ავტორიზაციის 6 წლით მიღების შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით დაწესებულება ვერ ადასტურებს ავტორიზაციის სრულ პერიოდზე ფართის ფლობას (2029 წლამდე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.	სკოლის თანამშრომლებს არ აქვთ წარმოდგენილი ნასამართლეობის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობები (ნასამართლეობის შესახებ ცნობა წარმოდგენილი ჰქონდა 3 მასწავლებელს).
	3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	სკოლას არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება საღვთო სჯულის მასწავლებელთან, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს დაწესებულების ხელმძღვანელს (რექტორს)

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.	დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ ყველა პედაგოგმა, შეფასების სისტემა, მოიყვანოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემასთან და გამოიყენონ პრაქტიკაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	მიუხედავად იმისა რომ სკოლა ზრუნავს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და გაუმჯობესებაზე, რეკომენდაცია მიეცა შეიმუშავოს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების ისეთი მექანიზმები, რომელიც უფრო დაეხმარება სწავლების ხარისხის შეფასების პროცესში და სადაც გათვალისწინებული იქნება შემდეგი ეტაპები: „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“.
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	2.1.დ დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ლაბორატორიაში დამონტაჟდეს სპეციალური კარადა ექსპერიმენტების ჩასატარებლად და ასევე აღიჭურვოს გამწოვით.
	2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ კიდევ ერთხელ გადახედოს ბიბლიოთეკის საკუთრებაში არსებულ წიგნებს და ის წიგნები, რომლებიც არ არის დამუშავებული წესის შესაბამისად, მოიყვანოს დადგენილ წესთან შესაბამისობაში.
	2.6.დ სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის	დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ ისეთი დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროებს სხვადასხვა უწყებებთან შეთანხმებას, სკოლამ შეიმუშავოს ვალდებულების წარმოქმნიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	უმოკლეს ვადებში და დროულად შეათანხმოს შესაბამის უწყებებთან.
	2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ წესდება გაიწეროს ისე, რომ ნათლად გამოჩნდეს რექტორზე დელეგირებული უფლებები. კერძოდ სხვადასხვა ბრძანებების გამოცემის და კონკრეტული დოკუმენტების დამტკიცების უფლება, რადგან, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში ბრძანებებს გამოსცემს რექტორი.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ხელშეკრულების შინაარსი და მასში განსაზღვრული პუნქტები მოყვანილი იქნას შრომის კოდექსთან შესაბამისობაში.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	

დაწესებულების მისია	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა აღსაზრდელებს სთავაზობს თანამედროვე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილ უსაფრთხო პოზიტიურ გარემოს, ჯანსაღი სულიერი განვითარების შესაძლებლობებს, ეროვნული, ქრისტიანული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების ზიარებას, რაც მიიღწევა მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგიური მომსახურებითა და თანამშრომელთა პირადი მაგალითით, მოძღვართან ურთიერთობით, სასწავლო პროგრამებითა და ღონისძიებებით, მოსწავლის ოჯახთან თანამშრომლობით, რათა სკოლის კურსდამთავრებულებმა მიღებული ცოდნა და აღზრდა გამოიყენონ წარმატებული ცხოვრებისა და საერთაშორისო ურთიერთობებში ქვეყნის ინტერესების საკეთილდღეოდ. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ხედვა ხარისხზე ორიენტირებული სკოლის შექმნაა, სადაც ჩამოყალიბებული იქნება კარგად ორგანიზებული მწყობრი სისტემა, რომელშიც ჰარმონიულ ურთიერთობაში დამკვიდრდება ამ სისტემის ელემენტები: მისია, სტანდარტები, შეფასება, ანგარიშვალდებულება, შესაბამისობა, კულტურა, თანამშრომლობა და მუდმივი გაუმჯობესება. ყველა ამ კომპონენტის გაცნობიერება და ამოქმედება აუცილებელი პირობაა მოსწავლეთა მაღალი მიღწევებისათვის, მასწავლებელთა პროფესიული ზრდისა და სასწავლებლის სამომავლოდ განვითარებისათვის.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 202	ექსპერტი ეთანხმება ☐	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☒	მოსწავლეთა მაქსიმალური კონტიგენტი წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეიძლება იყოს 127 მოსწავლე, რადგან მერხების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციიდან ყველაზე დიდი ოდენობა გამოვიდა 127 მერხი. თუმცა ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში იყო 167 მერხი. თუ დაწესებულება დაადასტურებს დანარჩენი 40 მერხის მის საკუთრებაში არსებობას, მაშინ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 167 მოსწავლით. სკოლის სხვა რესურსი (ფართობი, კომპიუტერები) საკმარისი იქნება აღნიშნული რაოდენობის კონტიგენტისათვის სტანდარტის შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმ. ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია სკოლის რექტორის მიერ (2022 წლის 08 სექტემბრის ბრძანება N2-41) სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე (2022 წლის 08 სექტემბრის პედსაბჭოს სხდომის ოქმი N1). სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან • სკოლის მისია; • სასწავლო წლის კალენდარი; • დისტანციური სწავლების ორგანიზება; • დღის რეჟიმი; • სასკოლო საათობრივი ბადე; • შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა; • გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა; • საგნობრივი კათედრები; • ესგ-ით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; • ესგ-ით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; • მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები; • ინკლუზიური განათლება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სადამრიგებლო პროგრამა. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სამივე საფეხურზე, ფუნქციონირებს I-XII კლასები. I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობა არის 35 წუთი, ხოლო II-XII კლასებში 45წუთი. გაკვეთილებს შორის შესვენებების ხანგრძლივობაა 5 წუთი და ერთი შესვენების 15 წუთი. საათობრივ ბადეში ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანი „საღვთო სჯულია“ წარმოდგენილი, როგორც ფაკულტატური საგანი და ისწავლება პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, კვირაში 1 საათი, თუმცა ასევე განმარტებულია რომ დასწრება სავალდებულოა. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი 1-ში ასევე აღწერილია, რომ საღვთო სჯული, როგორც საგანი, ხელს უწყობს მოსწავლის ზნეობრივად აღზრდისა და ჭეშმარიტ მართლმადიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებას. აცნობს და აზიარებს ქრისტიანულ მორალს. ბიბლიური იგავების გაცნობა-ანალიზი ხელს უწყობს მოსწავლეთა სწორი აზროვნების ჩამოყალიბებას, ასევე მოსწავლეებში დათმენისა და მიტევების უნარის გაღვივებას. ყოველივე ეს კი საწინდარია ღირსეული მოქალაქის ჩამოყალიბებისა. საათობრივ ბადეში I კლასში არ არის გათვალისწინებული ჭადრაკი, რადგან სკოლაში არ არის შესაბამისად მომზადებული კადრი (რაც დაშვებულია ეროვნული სასწავლო გეგმით მუხლი 56. პუნქტი 2. I კლასში სკოლისთვის ჭადრაკი იმ შემთხვევაში არის სავალდებულო, თუკი ჰყავს შესაბამისად მომზადებული მასწავლებელი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. სკოლაში არის შვიდი საგნობრივი კათედრა: 1.სახელმწიფო ენის კათედრა; 2.მათემატიკისა და ტექნოლოგიების-ის კათედრა (მათემატიკისა, ისტ-ის მასწავლებლები); 3.საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა (ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებლები); 4.საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა (ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების, სამოქალაქო განათლების, საღვთო სჯულის მასწავლებლები); 5.უცხოური ენების კათედრა (ინგლისურისა და რუსული ენების მასწავლებლები); 6.ესთეტიკური აღზრდის კათედრა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, სპორტის და მუსიკის მასწავლებლები); 7.დაწყებითი საფეხურის კათედრა (I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, მე და საზოგადოების და ხელოვნების მასწავლებლები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა კათედრების ხელმძღვანელებისა და მასწავლებლის პორტფოლიოები, რომელიც სამასწავლებლოში კათედრებისათვის განკუთვნილ სივრცეშია განთავსებული. თითოეულ საგნობრივ პროგრამაში აღწერილია სასწავლო წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები, სწავლების მეთოდიკა, შეფასების კრიტერიუმები და დაგეგმილი აქტივობები. კათედრაზე განიხილება შემაჯამებელი დავალებები, მათი შედეგების, ანალიზი. მასწავლებლის პორტფოლიოში წარმოდგენილი იყო მათ მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამა, თემატური გეგმები, რომლებიც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან. პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ მოსწავლეები მონაწილეობენ, როგორც შიდა სასკოლო ასევე სხვადასხვა ოლიმპიადებსა და კონკურსებში. აქვთ წარმატებები. ასევე აღინიშნა კონფერენციებში მონაწილეობა, როგორც საპატრიარქოს სკოლების ასევე, რაიონისა და მთლიანად საქართველოს მასშტაბით. სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა • საგნობრივი პროგრამები; • სკოლის კათედრის სხდომის ოქმები • შემაჯამებელი დავალების ანალიზი. • კათედრების პორტფოლიო • მასწავლებლების პორტფოლიო
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო საზოგადოების წევრებს გააზრებული აქვს მოსწავლეთა თანაბარუფლებიანობა, მათი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობა და აუცილებლობა სწავლა-სწავლების დროს. ამ მიზნით სკოლას ნაფიქრი აქვს სხვადასხვა მიმართულებით და შექმნილი აქვს დოკუმენტები გაწერილი შესაბამისი მექანიზმებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები; სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება. სკოლაში დღეისათვის არ ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში აქვს მზაობა და იციან როგორ უნდა იმოქმედონ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმ. ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმოდგენილია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: • შეფასების მიზანი • განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება • მოსწავლეთა გამსაზღვრელი შეფასების სისტემა • ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები • საგნის სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები) • შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი • ქულების გამოანგარიშების წესი • კლასისა და საფეხურის დაძლევა • შეფასება და გაცდენები • გამოცდის ტიპები სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მოსწავლეთა შეფასების შედეგები განიხილება კათედრების სხდომებსა და დირექციის სამუშაო შეხვედრებზე. პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. ყოველი შესრულებული შემაჯამებლის დავალების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეფასების შემდეგ პედაგოგები აკეთებენ შემაჯამებელი დავალების ანალიზს. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა სემესტრების მიხედვით შესრულებული იყო, გაანალიზებული და შედეგები ასახული სკოლის ელექტრონულ ჟურნალში EduPage. აღსანიშნავია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში, კათედრის მიერ შემუშავებულ შეფასების სქემებში წარმოდგენილია შეფასების ხუთდონიანი და 10 ქულიანი სისტემა, თუმცა მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლების ნაწილთან გასაუბრების დროს დაფიქსირდა, რომ მასწავლებელთა ნაწილი მინიმალურ ქულად მიიჩნევდა 5 ან 6 ქულას და შესაბამისად ნებისმიერ ნაშრომის მინიმალური ქულა შეიძლება იყოს მხოლოდ 5. ადმინისტრაციასთან და ნაწილ მასწავლებლებთან საუბრისას გაირკვა, რომ გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული 10 ქულიანი სისტემა, თუმცა ყველა პედაგოგის მიერ არ ხდება მისი შესაბამისად გამოყენება. ***დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ ყველა პედაგოგმა, შეფასების სისტემა, მოიყვანოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემასთან და გამოიყენონ პრაქტიკაში.***
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა • შემაჯამებელი დავალების ანალიზი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას გაწერილი არ აქვს მშობლების ინფორმირების წესი, თუმცა მშობლებთან, მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების, EduPage-ის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლებთან სკოლას აქვს აქტიური და ეფექტური კომუნიკაცია. მშობლებს ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მიეწოდება ინფორმაცია საკუთარი შვილის აკადემიური მოსწრების განმავითარებელი კომენტარების სახით, წარმატებისა თუ წარმოქმნილი პრობლემის შესახებ. სემესტრში მინიმუმ ორჯერ ტარდება მშობელთა კრება, მასწავლებლები საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურად აწვდიან ინფორმაციას მშობელს (პირისპირ გასაუბრება, სატელეფონო საუბარი, მესიჯი). მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით. მათ შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ღონისძიებებში, თავისუფლად გამოხატონ თავისი აზრი და სურვილები სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ელექტრონული ჟურნალი EduPage • მშობლებთან გასაუბრება • მასწავლებლებთან გასაუბრება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ გაწერილი დოკუმენტი სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების არ აქვთ, თუმცა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვება, სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მონიტორინგი, გაკვეთილებზე დასწრება, შედეგების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. 2021 წლის 15 მარტს ბრძანება N1/კ-14-ის საფუძველზე სკოლაში დანიშნულია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომლის ფუნქციებიც გაწერილია შესაბამის ინსტრუქციებში. წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამისად მისი ფუნქციაა: მონიტორინგი გაუწიოს საგაკვეთილო პროცესში ინოვაციური ხერხებისა და მეთოდების დანერგვას, კლასების მუშაობას, სასწავლო პროცესის მიმდინარეობას; ზედამხედველობა გაუწიოს და ჩაიბაროს კათედრების მუშაობის ანგარიში, დაესწროს გაკვეთილებს, გააკონტროლოს თემატურ-კალენდარული გეგმების გაწერა და მისი შესრულება; ***მიუხედავად იმისა რომ სკოლა ზრუნავს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და გაუმჯობესებაზე, რეკომენდაცია მიეცა შეიმუშავოს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების ისეთი მექანიზმები, რომელიც უფრო დაეხმარება სწავლების ხარისხის შეფასების პროცესში და სადაც გათვალისწინებული იქნება შემდეგი ეტაპები: „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“.***
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხარისიხის მართვის მენეჯერის დანიშვნის შესახებ 2021 წლის 15 მარტის N1/კ-14 ბრძანება; • ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები; • მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 1579კვ.მ	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებამ წარმოადგინა 2011 წლის 13 ივლისის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვით დაწესებულება განთავსებულია მარტვილის რაიონში, სოფელ სალხინოში 29684 კვ.მ ფართობზე არსებულ მიწის ნაკვეთზე, სადაც განთავსებულია 7 შენობა ნაგებობა (საძინებელი კორპუსი, სასადილო, საქვაბე, საპირფარეშო, სადურგლო, ელგენერატორის სადგომი, საგუშაგო). საერთო ფართით 1579კვ.მ. ამავე დოკუმენტის მიხედვით, უზუფრუქტის ხელშეკრულებით, დაწესებულების საკუთრებაშია 30181 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე 7 შენობა-ნაგებობა. (ხელშეკრულება 11/09/2009.) **(დანართი 1.1)** დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2006 წლის 22 ნოემბრის „უძრავი ქონების უზუფრუქტის ხელშეკრულება“. ხელშეკრულების მიხედვით, სოფელ სალხინოში მდებარე 1218 კვ.მ ფართობზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განთავსებული 1672კვ. მ ფართობის მქონე შენობა 2006 წლის 22 ნოემბრიდან 2026 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით გადაეცა უსასყიდლოდ „ფლობისა და სარგებლობისა და საგანმანათლებლო პროფილის შენარჩუნების პირობით. **(დანართი 1.2)** აღნიშნული დოკუმენტებიდან ვერ დადგინდა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების ზუსტი ფართობი. ასევე, ამავე დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებას, აღნიშნული ფართი გადაცემული აქვს 2026 წლის 22 ნოემბრამდე. ავტორიზაციის 6 წლით მიღების შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით დაწესებულება ვერ ადასტურებს ავტორიზაციის სრულ პერიოდზე ფართის ფლობას (2029 წლამდე). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ავტორიზაციის სრულ პერიოდზე ფართის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
ფაქტობრივი მისამართი	**მარტვილი, სოფელი სალხინო**
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**41.14.35.004**
კვ.მ.	**29684,00 კვ.მ**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან • „უძრავი ქონების უზუფრუქტის ხელშეკრულება“ • ვიზუალური დათვალიერება
შეფასება	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლას აქვს 166 მოსწავლის ინდივიდუალური მერხი და სკამი (თუმცა შესყიდვებით დასტურდება 127 მერხისა და სკამის ფლობა). დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, წარსულში გაჩენილმა ხანძარმა შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნაწილი გაანადგურა, შესაბამისად დანარჩენი ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაციის წარმოდგენა ვერ მოხერხდა. დაწესებულებამ წარმოადგინა საინვენტარიზაციო კომისიის 2022 წლის 30 ნოემბრის სხდომის ოქმი. ოქმის დანართის მიხედვით, სხვა ინვენტართან ერთად, დაწესებულებას უდასტურდება მოსწავლის 119 მერხის ფლობა. დაწესებულების საკლასო ოთახებში ასევე განთავსებულია მასწავლებლის მაგიდები, კარადები, დაფები და სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარი. სკოლას ასევე შეძენილი აქვს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო რესურსები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • შესყიდვის დოკუმენტაცია • საინვენტარიზაციო კომისიის ოქმი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას აქვს სპორტული მოედანი სადაც შესაძლებელია სპორტის სხვადასხვა სახეობების თამაშობების გამართვა და ფიზიკური აქტივობები. ასევე სკოლას აქვს ღია მოედანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ლაბორატორიული ხელსაწყოებით, თუმცა ლაბორატორიაში არ იყო სპეციალური კარადა გამწოვით, რაც უზრუნველყოფდა სხვადასხვა ექსპერიმენტების უსაფრთხოდ ჩატარებას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას, ლაბორატორიის გვერდით აქვს გამოყოფილი სპეციალური სივრცე, სადაც იგეგმება სხვადასხვა ლაბორატორიული ხელსაწყოებისა და რეაქტივების განთავსება/შენახვა. ***დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ლაბორატორიაში დამონტაჟდეს სპეციალური კარადა ექსპერიმენტების ჩასატარებლად და ასევე აღიჭურვოს გამწოვით.***
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • შესყიდვების დოკუმენტაცია
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას ელ. ენერგია მიეწოდება უწყვეტად. საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. სკოლას აქვს ცენტრალური გათბობა. გათბობა უზრუნველყოფილია თხილის ნაჭუჭის ღუმელით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში არის ჭის წყალი, თუმცა სასმელად გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა. ***დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ სკოლა უზრუნველყოს სასმელი წყლით (მაგ. შესაძლებელია წყლის დისპენსერების გამოყენება), რომელსაც ექნება შესაბამისი დასკვნა მისი ვარგისიანობის შესახებ.***
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია • ვიზუალური დათვალიერება • ელ. ენერგიის გადახდის ქვითრები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია სხვადასხვა ჟანრის და თემატიკის 3521 წიგნით. სკოლაში არის ანბანური და თემატური კატალოგი. მკითხველთა ბარათები. შერჩევითი შემთხვევით შერჩეული წიგნების დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ დაწესებულების წიგნები ძირითადად დამუშავებულია შესაბამისი წესით. თუმცა რამდენიმე წიგნს არ ჰქონდა დარტყმული ბეჭედი. ბიბლიოთეკაში ასევე არის სამკითხველო დარბაზი. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და მიმდინარეობს გაცემული წიგნების აღრიცხვა. ***სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ კიდევ ერთხელ გადახედოს წიგნებს და ის წიგნები, რომლებიც არ არის დამუშავებული წესის შესაბამისად, მოიყვანოს დადგენილ წესთან შესაბამისობაში.***
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით. • ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს მოძრავი პანდუსები. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა პანდუსი, რომელიც უზრუნველყოფდა ეტლით მოსარგებლე პირის ექიმის კაბინეტში მოხვედრას. ვიზიტის დასრულებამდე დაწესებულებამ უზრუნველყო აღნიშნული პანდუსის დამზადება. სკოლაში, ასევე, არის ადაპტირებული სველი წერტილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებული იყო 9 კომპიუტერი, ასევე პრინტერი, პროექტორი და პროექტორის ეკრანი. დაწესებულების ვებ-გვერდია https://salkhinosgimnazia.edupage.org/ ვებ-გვერდზე პერიოდულად ხდება სიახლეების განთავსება. იგი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლას ასევე აქვს ელ. ჟურნალი EduPage, რომლის საშუალებითაც ხდება მოსწავლეების და მშობლების ინფორმირება მოსწავლის აკადემიური შედეგების შესახებ. დაწესებულებას ინტერნეტით უზრუნველყოფს შპს მარტ ნერი
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით • ხელშეკრულებები • გადახდის ქვითრები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სახანძრო დაფა და ცეცხლმაქრები, რომლებიც გადამუხტულია სხვადასხვა დროს, თუმცა ვიზიტის პერიოდში, ცეცხლმაქრების გადამუხტვის ვადები დაცული იყო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმები. ასევე არის სახანძრო დაფა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში არის ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და მედიკამენტებით. დაწესებულებას ჰყავს ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების დანართი 1.2-ის თანახმად, სკოლაში, სადაც მოსწავლეთა კონტიგენტი შეადგენს 100-დან 500-ის ჩათვლით მოსწავლეს, უნდა იყოს 1 ექიმი, ხოლო ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლის ექიმის მოძიება ვერ მოხერხდა, თუმცა სკოლამ 2022 წლის 21 დეკემბერს გამოაცხადა ვაკანსია ექიმის პოზიციაზე. ექიმის ვაკანტურ პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმებამდე, ზემოაღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობებს შეასრულებს სკოლის ექთანი. სკოლის ექთანი აწარმოებდა გაცემული მედიკამენტების აღრიცხვას სპეციალურ ჟურნალში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით • შესყიდვების დოკუმენტაციით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც სამინისტროსთან შესათანხმებლად გაგზავნილია 2022 წლის 30 ნოემბერს. ვიზიტის დროს, სკოლას სამინისტროსგან პასუხი არ ჰქონდა მიღებული. აღნიშნული წესის შემუშავების ვალდებულება სკოლებს გაუჩნდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N06/ნ ბრძანების გამოცემის შემდეგ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ამ ხნის განმავლობაში დაწესებულებას არ მიუმართავს სამინისტროსთვის სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტის შესათანხმებლად. ***დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ ისეთი დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროებს სხვადასხვა უწყებებთან შეთანხმებას, სკოლამ შეიმუშავოს ვალდებულების წარმოქმნიდან უმოკლეს ვადებში და დროულად შეათანხმოს შესაბამის უწყებებთან.***
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები • სამინისტროში გაგზავნილი წერილი 30/11/2022
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას აქვს 4 გარე კამერა, რომლითაც კონტროლდება სკოლის გარე პერიმეტრი და 12 შიდა კამერა, რომლითაც კონტროლდება სკოლის შიდა სივრცე. ვიზიტის დროს არ კონტროლდებოდა 2 დერეფანი, თუმცა ერთი კამერა დაწესებულებამ გადმოიტანა ბიბლიოთეკიდან ხოლო მეორე სივრცისთვის დაამატა ერთი შიდა კამერა. შედეგად დაწესებულების გარე პერიმეტრი და შიდა სივრცე სრულად გახდა შესაძლებელი რომ გაკონტროლდეს. შესყიდვების დოკუმენტაციით დაწესებულებას უდასტურდებოდა 7 შიდა კამერის 4 გარე კამერის ფლობა. დაწესებულების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სკოლაში გაჩენილი ხანძრის გამო ზოგიერთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დოკუმენტაცია განადგურდა, შესაბამისად ყველა დოკუმენტის წარმოდგენას ვერ შეძლებდა, თუმცა მათი ფლობა დასტურდება ინვენტარიზაციის კომისიის ოქმით. აღნიშნული ოქმის დანართის მიხედვით დაწესებულებას უდასტურდება 17 ვიდეო-კამერის საკუთრებაში ქონა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • შესყიდვების დოკუმენტაცია • ინვენტარიზაციის კომისიის ოქმი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, სკოლის წესდება, საქმისწარმოების წესი, რომლებიც შეესაბამება კანონმდებლობას. თუმცა სკოლის წესდებაში, აღნიშნულია, რომ ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანო არის რექტორი და იქვე გაწერილია მისი უფლება-ვალდებულებები. აღნიშნული მუხლის მიხედვით, რექტორი ინიშნება უვადოდ; რექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი; სკოლის რექტორი ზედამხედველობს სკოლის ადმინისტრაციას და მართავს სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს; ამტკიცებს შინაგანაწესს; კანონმდებლობითა და სკოლის წესდებით დადგენილი წესით დებს გარიგებებს სკოლის სახელით, ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე წესდებით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს. აღნიშნული მუხლის მიხედვით, რექტორს უფლება აქვს დაამტკიცოს შინაგანაწესი, თუმცა გარდა შინაგანაწესისა, სხვა ბრძანებების გამოცემის უფლება არ არის განსაზღვრული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ წესდება გაიწეროს ისე, რომ ნათლად გამოჩნდეს რექტორზე დელეგირებული უფლებები. კერძოდ სხვადასხვა ბრძანებების გამოცემის და კონკრეტული დოკუმენტების დამტკიცების უფლება, რადგან, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში ბრძანებებს გამოსცემს რექტორი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი (2022-2023 სასწავლო წლის) სამოქმედო გეგმა და გრძელვადიანი ექვსწლიანი (2022-2028) სტრატეგიული გეგმა. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია სკოლის სტრატეგიული მიზნები და მათი მიღწევის საშუალებები, ხოლო 6 წლიან გეგმაში გაწერილია სკოლის მიერ გადასადგმელი ნაბიჯები წლების მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა • ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მიმდინარეობს შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვა. ასევე სკოლაში აღირიცხება რექტორის მიერ გამოცემული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბრძანებები. რისთვისაც არსებობს შესაბამისი ჟურნალები. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, სადაც გაწერილია შემოსული კორესპონდენციების რეგისტრაციის და აღრიცხვის წესები, ასევე მათი განხილვისა და მათზე პასუხის მომზადების წესი. ამავე დოკუმენტში გაწერილია გასული კორესპონდენციების რეგისტრაციის, გაგზავნის და მათი აღრიცხვის წესები, ბრძანებების რეგისტრაციის და აღრიცხვის წესი, მიღებული დოკუმენტის რეგისტრაციის და აღრიცხვის წესი, ასევე ხელშეკრულებების აღრიცხვის წესი. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს პედაგოგიური და დამხმარე პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის ბრძანებების რეგისტრაციის და აღრიცხვის წესს, მოსწავლეთა ჩარიცხვისა და ამორიცხვის ბრძანების რეგისტრაციის და აღრიცხვის წესს და დოკუმენტების არქივში გადასვლისა და შენახვის ვადებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალები • ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები • საქმისწარმოების წესი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	**ქვესტანდარტი 2.1.ა** დაწესებულებამ საჯარო რეესტრსა და ფართის ფლობის შესახებ ხელშეკრულებაში ასახოს მის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების ზუსტი ფართი და ხელშეკრულება მეპატრონესთან გააფორმოს მინიმუმ 6 წლით (ავტორიზაციის ვადით).
რჩევები:	**ქვესტანდარტი 2.2.** დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ სკოლა უზრუნველყოს სასმელი წყლით (მაგ. შესაძლებელია წყლის დისპენსერების გამოყენება), რომელსაც ექნება შესაბამისი დასკვნა მისი ვარგისიანობის შესახებ.
ხარვეზები:	**ქვესტანდარტი 2.1.ა.** დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ვერ დადგინდა დაწესებულების მფლობელობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	არსებული მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების ზუსტი ფართობი. ასევე, ამავე დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებას, აღნიშნული ფართი გადაცემული აქვს 2026 წლის 22 ნოემბრამდე. ავტორიზაციის 6 წლით მიღების შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით დაწესებულება ვერ ადასტურებს ავტორიზაციის სრულ პერიოდზე ფართის ფლობას (2029 წლამდე).
სტანდარტის შეფასება	☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დასაქმებულია 56 თანამშრომელი. მათ შორის 27 მასწავლებელი. სკოლაში წარმოდგენილი სტრუქტურის შესაბამისად დასაქმებულია რექტორი, რექტორის თანაშემწე, მოადგილე სამეურნეო დარგში, ფინანსური მენეჯერი, პრორექტორი/სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, ბიბლიოთეკარი, კანცელარია, კლასის დამრიგებლები, კლასის აღმზრდელები, ტექნიკური სამსახური, სამედიცინო სამსახური, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ხარისხის მართვის სამსახური ხელმძღვანელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები; • eschool-ის ბაზები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	27
მოწვეული/მაძიებელი	3/0
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0
უფროსი მასწავლებლი	24
წამყვანი მასწავლებლი	0
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის თანამშრომლებს არ აქვთ წარმოდგენილი ნასამართლეობის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობები (ნასამართლეობის შესახებ ცნობა წარმოდგენილი ჰქონდა 3 მასწავლებელს). ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 33[1] მუხლის შესაბამისად *„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა.“* ამავე კანონის 21-ე მუხლის 1[2] პუნქტის შესაბამისად *„მასწავლებელი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლობა.“* ***სტანდარტის აღნიშნული პუნქტის დასაკმაყოფილებლად, ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა, ხოლო მასწავლებლებს ამავე დროს ნასამართლეობის შესახებ ცნობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • მასწავლებელთა პირადი საქმეები;
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესში გაწერილი თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები. კანდიდატები პირველადად შეირჩევიან გასაუბრების ან ტესტირების საშუალებით. მოწმდება პედაგოგიური, დიდაქტიკური და საგნობრივი კომპეტენცია; სკოლის პედაგოგები და ადმინისტრაციის წევრები სამუშაოზე მიიღებიან კონკურსის წესით ან რექტორის გადაწყვეტილებით. კონკურსს წარმართავს სკოლის რექტორი. გასაუბრების შედეგად დადგინდა რომ განცხადებების გავრცელება სკოლის ვაკანტური ადგილის შესახებ ხდება teachersjobs.ge -ზე. შინაგანაწესში ასევე მოცემულია დასაქმებულთა და მოსწავლეთა წახალისების სისტემა. შესაძლებელია ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომებისა და პასუხისმგებლობის სახეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას მიეცა რჩევა, რომ შეიმუშავოს თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და წახალისების ისეთი წესი, რომელშიც უფრო მკაფიოდ და გარკვევით იქნება გაწერილი შესაბამისი ეტაპები ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი • სკოლის მიერ გამოცხადებული ვაკანსიები • https://teacherjobs.ge/?position=&subject=&class=&school=235449813&district=
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის თითქმის ყველა თანამშრომელთან დადებულია შრომითი ხელშეკრულება (გარდა რექტორის მიერ საღვთო სჯულის მასწავლებლად დასაქმების ხელშეკრულებისა), რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესთან, გარდა ერთი სავალდებულო მუხლისა „შრომითი ანაზღაურების ოდენობა“ . საქართველოს შრომის კოდექსის მუხლი 14. პუნქტი 1. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებია: ვ) შრომის ანაზღაურება (მითითებული ხელფასი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – დანამატი) და მისი გადახდის წესი; მუხლი 41. პუნქტი 2. შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მასწავლებლებს და სკოლის სხვა თანამშრომლებს ხელფასი დადგენილია საჯარო სკოლებისათვის არსებული ანაზღაურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პირადი საქმეების შემოწმების შედეგად, როგორც ზემოთ აღინიშნა, დადგინდა, რომ სკოლას არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება საღვთო სჯულის მასწავლებელთან, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს დაწესებულების ხელმძღვანელს (რექტორს). ***სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, საჭიროა, რომ დაწესებულებას ჰქონდეს გაფორმებული ხელშეკრულება ყველა თანამშრომელთან იმ პოზიციის შესაბამისი, რომელიც მას აქვს დაკავებული.*** ***სკოლას ასევე მიეცა რეკომენდაცია, რომ ხელშეკრულების შინაარსი და მასში განსაზღვრული პუნქტები მოყვანილი იქნას შრომის კოდექსთან შესაბამისობაში.***
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებელთა პორტფოლიოებში წარმოდგენილია მასწავლებელთა სერტიფიკატები და ტრენინგში მონაწილეობის ცნობები. კათედრის ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მასწავლებლები სკოლისათვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია პროფესიული განვითარება. ამ მიმართულებით სკოლაში პერიოდულად ტარდება სამუშაო შეხვედრები, როგორც კათედრაზე ასევე სხვადსხვა კათედრებს შორის, მასწავლებლების მხრიდან იგეგმება გაკვეთილებზე დასწრება და შემდეგ ერთობლივი განხილვა, ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა, რის შედეგადაც ადმინისტრაციისაგან ხდება მათი საჭიროებების დაძლევის გზების ერთობლივად ძიება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლა ასევე თანამშრომლობს პროფ. კავშირთან. შესაბამისად მასწავლებლებს პერიოდულად უტარდებათ ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გასაუბრება მასწავლებლებთან • გასაუბრება ადმინისტრაციასთან • გასაუბრება საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას. სკოლის პედაგოგებს შორის, ასევე, პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის არის თანამშრომლობითი ურთიერთობები. მშობლებთან გასაუბრებისას განსაკუთრებით აღინიშნა სკოლაში უსაფრთხოებისა და მასწავლებლებისაგან მოსწავლეებზე ზრუნვის საკითხი. მნიშვნელოვანი და საინტერესოა მოსწავლეების მონაწილეობა მრავალფეროვან აქტივობებში, როგორც სკოლაში ასევე მთელი რაიონის ფარგლებში. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ ისინი მონაწილეობენ სპორტული, შემოქმედებითი და ინტელექტუალური შინაარსის მქონე ღონისძიებებში. ხშირად დადიან ექსკურსიებზე. სკოლაში არ ფუნქციონირებს არც მოსწავლეთა თვითმმართველობა (რამდენიმე წლის წინ იყო) და არც რაიმე სხვა კლუბი მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინტერესების გათვალისწინებით. თუმცა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ყველას აქვს საშუალება საკუთარი აზრების, ინიციატივების წარდგენისა სკოლის ადმინისტრაციასთან. ***სკოლას მიეცა რჩევა სკოლაში არაფორმალური მიმართულების გააქტიურებისა და სისტემაში მოყვანის.***
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გასუბრება მასწავლებლებთან • გასაუბრება ადმინისტრაციასთან • გასაუბრება მოსწავლეებთან
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	**ქვესტანდარტი** 3.2. სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა, ხოლო მასწავლებლებს ამავე დროს ნასამართლეობის შესახებ ცნობები. **ქვესტანდარტი** 3.4 სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, საჭიროა, რომ დაწესებულებას ჰქონდეს გაფორმებული ხელშეკრულება ყველა თანამშრომელთან იმ პოზიციის შესაბამისი, რომელიც მას აქვს დაკავებული.
რჩევები:	**ქვესტანდარტი 3.3** *სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშავოს თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და წახალისების ისეთი წესი, რომელშიც უფრო მკაფიოდ და გარკვევით იქნება გაწერილი შესაბამისი ეტაპები ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.* **ქვესტანდარტი 3.6** *სკოლას მიეცა რჩევა სკოლაში არაფორმალური მიმართულების გააქტიურებისა და სისტემაში მოყვანის.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხარვეზები:	**ქვესტანდარტი** 3.2 სკოლის თანამშრომლებს არ აქვთ წარმოდგენილი ნასამართლეობის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობები (ნასამართლეობის შესახებ ცნობა წარმოდგენილი ჰქონდა 3 მასწავლებელს). **ქვესტანდარტი** 3.4 სკოლის თითქმის ყველა თანამშრომელთან დადებულია შრომითი ხელშეკრულება გარდა რექტორის მიერ საღვთო სჯულის მასწავლებლად დასაქმების ხელშეკრულებისა
სტანდარტის შეფასება	☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1.1 – 3 (სამი) ფურცელი

დანართი 1.2 – 7 (შვიდი) ფურცელი

თბილისი 26.01.2023

გვერდების რაოდენობა 41 გვერდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.